ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №ს/84-13

ქ. თბილისი 09 ოქტომბერი, 2013 წელი

ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, გენერალური დირექტორის პრომეთე შევარდნაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს ,,დეკორი" დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 20² მუხლის, ,,2013 წელს საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის N324 განკარგულებისა და ,,საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე, საბეჭდი ქაღალდის 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000021) შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი

1.1. შესყიდვის საგანია სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, 40 ყუთი A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV30197630) შესყიდვა (შემდგომში ,,საქონელი").

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1026,00 (ერთი ათას ოცდაექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების საგნის ერთეულის ღირებულებაა 5.13 (ხუთი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობთ ეკისრება მიმწოდებელს.

3. შესყიდვის საგნის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის საგნის მიწოდების საბოლოო ვადაა 2013 წლის 11 ოქტომბერი.

3.2. შესყიდვის საგნის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N67.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2013 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის საგნის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის საგნის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, შემსყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო განყოფილების უფროსს ირაკლი ფოფხაძეს.

6. ხელშეკრულების საგნის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისი შესყიდვის საგანი.

6.2. შესყიდვის საგნის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. მიმწოდებელს დაეკისრება როგორც ხელშეკრულების საგნის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს

) დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად მიწოდებული ხელშეკრულების საგნის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის (ანგარიშ–ფაქტურა, ინვოისი) წარდგენისა და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს სრული ოდენობით დაფარვამდე.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საგნის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) უარი თქვას უხარისხო ხელშეკრულების საგნის მიღებაზე;

8.2. შემსყიდველლი ვალდებულია:

ა) წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხელშეკრულების საგნის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიოდველს მიწოდებული ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გააფრთხილოს შემსყიდველი ხელშეკრულების საგნის მიწოდების პროცესში შეფერხების თაობაზე;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9, პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისას, მეორე მხარეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის წერილობით ფორმით დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდა შეუძლებელია დამატებითი ვადის გამოყენება, გაფრთხილება უთანაბრდება ვადის განსაზღვრას.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების რეგულირებისათვის გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

9.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მმსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი ხელშეკრულების საგნის ღირებულების 0,1%–ის ოდენობით.

9.6. შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების 5.1. მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისათვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე. ეტაპობრივად ანგარიშსწორების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკავება განხორციელდება უკანასკნელ ეტაპზე გადასახდელი თანხიდან.

9.7. 9.6. მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისაგან პირგასამტეხლოს გადახდა.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან გადახრა დაიშვება მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილი შესწორების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის შეთხვევაში, ცვლილების ინიციატორი ვალებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად ირღვევა ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, ორდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას, მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი სავარაუდო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ, ხოლო ამ უკანასკნელმა შესაძლოდ მოკლე ვადაში უნდა შეატყობინოს მხარეს თავისი გადაწყვეტილება არნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების შემთვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ხელშეკრულებაში შედის ცვლილება, რომელიც უნდა შესრულდეს წერილობით.

11.3 შემსყიდველს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულების საგანი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხლშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე,თუ:

ა) შემსყიდველსათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებელი გაკოტრდება;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6. 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული ხელშეკრულების საგნის ღირებულება.

12. ფორს–მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ იგი გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა ან სხვა სტიქიური მოვლნა, ასევე ომითა და საომარი მოქმედებებით, თუ აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდგომ.

12.2. თუ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის გამომწვევი პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარს.

13, დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკებს გზით.

13.2. თუ შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შესძლებენ შეთანხმებას, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის საგნის მიწოდების პარალელურად განახორციელოს წმენდა, რომლის მიზანია შესყიდვის საგნის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო სამსახურის უფროსი ირაკლი ფოფხაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასა და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობებში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ხელსეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

15.5. ხელშეკრულების ყველა დანართი, ცვლილება და დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6. მხარეები პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე და მათი ცვლილების თაობაზე ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ მეორე მხარეს.

16. მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	**შპს ,,დეკორი"**
თბილისი, ჩარგლის ქ. N67 ტელ: 2613500	**მისამართი:** ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ.63 **ტელეფონი:** 2 24 05 05 (599100474)
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200162224	**საიდენტიფიკაციო კოდი:№** 203868635
ს/ს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE50BG0000000119413700	**საბანკო რეკვიზიტები:** სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი **საბანკო კოდი:** BAGAGE22 **ანგარიშსწორების ანგარიში:** GE84BG0000000211219902
გენერალური დირექტორი **პრომეთე შევარდნაძე**	**დირექტორი** **დიმიტრი კვეკვესკირი**
---	---